



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირთავა

11 დეკემბერი 2023 წელი

N 47/36

გვ. N1

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022
წლების საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი		
	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	7
	1. შესავალი	9
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	9
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	9
	აუდიტის საგანი	9
	აუდიტის მასშტაბი	9
	აუდიტის კრიტერიუმები	10
	აუდიტის მიზანი	11
	აუდიტის მეთოდოლოგია	11
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	12
	2. აუდიტის მიგნებები	13
	3. დანართი	32
	საკონტაქტო ინფორმაცია	33

**ტერმინები და
შემოკლებები**

მერია – ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია.

საკრებულო – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

მუნიციპალური ორგანიზაცია – ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაფუძნებული იურიდიული პირი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ბიუჯეტის შესრულება

ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარვეზი

2021-2022 წლებში ბიუჯეტის შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი ჯამურად 89.1%-ით, ხოლო გადასახდელების – 86.4%-ით შესრულდა. ამასთანავე, ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი საბიუჯეტო სახსრები არასრულადაა გამოყენებული. აღნიშნული მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვასა და სხვადასხვა პროექტის დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს.

სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვების ნაკლოვანებები

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სათანადო დაგეგმვა-განხორციელებას, რაც შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გონივრულ ვადაში გამოუყენებლობასა და მათში არსებულ ხარვეზებში გამოიხატება. შედეგად, ვერ მოხერხდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება და შესაბამისი სარგებლის მიღება. ამასთანავე, სამშენებლო საქონლისა და სამუშაოების საბაზრო ღირებულებების ცვლილებების გათვალისწინებით, საპროექტო დოკუმენტაციის გამოყენების მომენტისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს მათი კორექტირება, რაც საბიუჯეტო სახსრების დამატებით ხარჯვასთან იქნება დაკავშირებული;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო სათანადო ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების მქონე მიმწოდებლების შერჩევა, რამაც მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერება განაპირობა. ამასთანავე, ვალდებულებების შეუსრულებლობისა და საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად, ავანსად გაცემული თანხის დასაბრუნებლად მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების სათანადო დადასტურებას, რის გამოც ოთხ შემთხვევაში ვერ მივიღეთ რწმუნება შესყიდული სამუშაოსა და მომსახურების, სახელშეკრულებო პირობებთან შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე, არასრული სახით ხდება ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვა, რაც ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს.

მუნიციპალური აქტივების მართვა

ქონების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები

2022 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას და მუნიციპალურ ორგანიზაციებს, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, არ ჩაუტარებიათ ბალანსზე რიცხული 192,203,655 ლარის აქტივების, მოთხოვნების და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, არ არის შესრულებული მოთხოვნები იჯარით გაცემული ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებით და ასევე არ არის აღრიცხული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების დროს ქონების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური აქტივები. ზემოაღნიშნული საჯარო აქტივების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობა

მშენებლობის ზედამხედველობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

მერიის მიერ უკანონო მშენებლობების აღკვეთის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყო უნებართვო მშენებლობების შეჩერება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონო გამოყენება, რაც ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე მშენებლობების ზედამხედველობასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

იურიდიული პირების მართვა

იურიდიული პირების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს-ებში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის არასწორად წარმართვის შედეგად, საერთო ჯამში, ხელფასის სახით ზედმეტად გაცემულია 266,004 ლარი და გამოვლინდა წყალმომარაგება-წყალინარების მომსახურების ტარიფების დაუსაბუთებლად განსაზღვრის ფაქტები. აღნიშნული, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კომერციული იურიდიული სტრუქტურების საქმიანობის ზედამხედველობასთან დაკავშირებით, კონტროლის მექანიზმის სისუსტეზე მიუთითებს და არამართლზომიერი ქმედებების რისკებს შეიცავს.

შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა. გამოვლინდა შრომის ანაზღაურების არასწორად გაცემისა და 24,122 ლარის მითვისების ფაქტები. აღნიშნული გარემოებები, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან მიმართებით, არსებული კონტროლის მექანიზმების არსებით სისუსტეზე მიუთითებს და არამართლზომიერი ქმედებების რისკებს შეიცავს.

ტრანსპორტის ხარჯები

ტრანსპორტის ხარჯების ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დოკუმენტურ დადასტურებას, რის გამოც ვერ მივიღეთ რწმუნება აუდიტის პერიოდში 52,070 ლიტრი საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით.

დასუფთავების მოსაკრებელი

მოსაკრებლების ადმინისტრირების ხარვეზები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ სრულად არ არის აღრიცხული დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა რაოდენობა. შედეგად, სრულად არ ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირება.

შიდა კონტროლის სისტემა

შიდა კონტროლის ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას.

რეკომენდაციები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას

რეკომენდაცია №1. ქობულეთის მუნიციპალიტეტმა არსებული ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოს პროგრამების საბიუჯეტო პარამეტრების განსაზღვრა და მათი შესრულება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო რესურსის დროული და ეფექტიანი გამოყენება, რაც შესაძლებელს გახდის მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას.

რეკომენდაცია №2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც პრეტენდენტთა ფინანსური და ეკონომიკური შესაძლებლობების განსაზღვრითა და შესაძლო ხელშეშლელი ფაქტორების გათვალისწინებით შეიმუშავებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ხოლო მის განხორციელებაზე სათანადო მონიტორინგის დაწესებით, უზრუნველყოფს პროექტების დადგენილ ვადაში ხარისხიან შესრულებას. ამასთანავე, ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგის გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანია, რომ შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია ელექტრონულ სისტემაში სრული სახით აიტვირთოს.

რეკომენდაცია №3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ საჯარო ქონების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად ჩაატაროს აქტივებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია და მუნიციპალური ქონების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური აქტივების შეფასება და ბალანსზე ასახვა. ამასთანავე, შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს იჯარით გაცემული ქონების სრულად აღრიცხვას და საიჯარო ხელშეკრულებების პირობების შესრულების სათანადო მონიტორინგს.

რეკომენდაცია №4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უნებართვო მშენებლობის პრევენციას, ასევე მიმდინარე უნებართვო მშენებლობების დროულად გამოვლენას და სათანადო რეაგირებას. ამასთანავე, შეისწავლოს ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარე უნებართვო მშენებლობების ფაქტები, განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №5. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კომერციული იურიდიული სტრუქტურების საქმიანობის სათანადო ზედამხედველობით მათი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვას. ამასთანავე, შეისწავლოს შრომის ანაზღაურების თვითნებურად გაზრდის ფაქტები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

რეკომენდაცია №6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც საბიუჯეტო რესურსის რაციონალურად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, სათანადოდ აღრიცხავს დასაქმებულთა ნამუშევარ საათებს და აღრიცხვის სისტემის მონაცემების გათვალისწინებით, განხორციელებს შრომის ანაზღაურების დარიცხვას. ამასთანავე, განიხილოს შრომის ანაზღაურების თანხების მითვისებისა და არასწორად გაცემის ფაქტები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯების ეფექტიანად ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, განსაზღვრავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოპტიმალურ რაოდენობას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ და რაციონალურ ხარჯვას.

რეკომენდაცია №8. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სრული ბაზის შექმნას, გადამხდელთა მონაცემების გათვალისწინებით განსაზღვრავს გადასახდელ თანხებს და განახორციელებს სათანადო მონიტორინგს მათი გადახდის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია №9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას, ანალიზსა და შეფასებას. ამასთანავე, შიდა აუდიტის სამსახურმა აუდიტის თემების შერჩევის დროს ყურადღება გაამახვილოს მაღალი რისკის შემცველი საკითხების შესწავლაზე, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემასა და მათი შესრულების ეფექტიან მონიტორინგზე.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში 2021-2022 წლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2022 წლებში საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში გაწეული საქმიანობის, მათ შორის, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების, ქონების განკარგვისა და

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული სუბიექტების მართვის მიმართულებების მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში 92,837,568 ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
-)/ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
-)/ საქართველოს შრომის კოდექსი;
-)/ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №203 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელის წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №219 დადგენილება „პროფესიული საჯარო მოხელისათვის მოხელის კლასების მინიჭების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილება „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი“;

-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტი;
-)/ ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტი.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ დოკუმენტური შემოწმება;
-)/ მონაცემთა ანალიზი;
-)/ ფიზიკური დათვალიერება;
-)/ ინტერვიუ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც აქვს ქონება, ბიუჯეტი, არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები. ასევე საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის 2021 წლის შემოსულობებმა შეადგინა 44,193,832 ლარი, გადასახდელებმა – 44,398,436 ლარი, ხოლო 2022 წლის შემოსულობებმა – 47,287,084 ლარი, გადასახდელებმა – 48,439,132 ლარი. ბიუჯეტიდან თანხები დახარჯულია შემდეგ პრიორიტეტებზე: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია; დასუფთავება და გარემოს დაცვა; განათლების ხელშეწყობა, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფართობია 711.8 კვ.კმ, რომელიც 21 ადმინისტრაციულ ერთეულადაა დაყოფილი, მათ შორის, 1 – ქალაქი, 2 – სადაბო და 18 სასოფლო თემია.¹ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ქობულეთი.

¹ <http://kobuleti.gov.ge/>

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ბიუჯეტის შესრულება

2.1.1 ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარვეზი

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტის მერია საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს, პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად. პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული სფეროები უნდა ეფუძნებოდეს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს, უზრუნველყოფდეს მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში, საბიუჯეტო ორგანიზაციები ახორციელებენ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს, რომელთა შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მერია.²

ფაქტობრივი გარემოება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების შესაბამისად, აუდიტის პერიოდში შემოსულობების გეგმა – 102,722,342 ლარით, ხოლო გადასახდელების – 107,466,404 ლარით განისაზღვრა.

ცხრილი №1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები (ლარი)

	პერიოდი	გეგმა	შესრულება	გადახრა	შესრულების %
შემოსულობები	2021	50,551,233	44,193,832	6,357,401	87.4%
	2022	52,171,109	47,287,084	4,884,027	90.6%
გადასახდელები	2021	53,267,213	44,398,436	8,868,777	83.4%
	2022	54,199,191	48,439,132	5,760,059	89.4%
ნაშთის ცვლილება	2021	2,715,980	204,604	2,511,376	7.5%
	2022	2,028,082	1,152,048	876,034	56.8%
2021 წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი					3,444,877
2022 წლის ბოლოსათვის არსებული ნაშთი					1,988,225

აუდიტის პერიოდში შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი ჯამურად 89.1%-ით, ხოლო გადასახდელების – 86.4%-ით შესრულდა.

შეუსრულებლობა, ძირითადად, სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიუღებელმა 9,452,347 ლარმა განაპირობა. აღნიშნული ტრანსფერის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემა შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების პროპორციულად ხორციელდება. შესაბამისად, შემოსულობების და გადასახდელების შეუსრულებლობის მიზეზი არასწორად დაგეგმილი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებია, მაგალითად:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის 2021-2022 წლებში ბიუჯეტით გამოყოფილი 2,697,231 ლარიდან ათვისებულია მხოლოდ 1,488,272 ლარი, ანუ 55,2%, რაც იმის შედეგია, რომ შემსრულებელმა კომპანიამ ვალდებულება დროულად არ შეასრულა;
- საპროექტო დოკუმენტაციაში განხორციელებული ცვლილებების შეთანხმებისა და შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობების დაზუსტების პროცესის გაჭიანურების გამო, 2022 წელს ვერ მოხერხდა – (ა)იპ –

² საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, 76-ე და 78-ე მუხლები.

ქობულეთის სოფლის წყლის, ა(ა)იპ – ქობულეთის გამწვანების და შპს „ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგურის“ ადმინისტრაციული შენობების მშენებლობისათვის გამოყოფილი 200,000 ლარის ათვისება;

- შემსრულებელი კომპანიების მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, შეწყვეტილია 8 ხელშეკრულება, რის შედეგად ბიუჯეტით გამოყოფილი 3,131,128 ლარიდან, ათვისებულია მხოლოდ 332,386 ლარი, ანუ 10,6 %.
- ადგილობრივი ბიუჯეტის საბალანსო მონაცემების შესაბამისად, 2021 წელს ნაშთის ცვლილების გეგმური მაჩვენებელი 7.5%-ით, ხოლო 2022 წელს 56.8%-ით შესრულდა.

დასკვნა

2021-2022 წლებში ბიუჯეტის შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი ჯამურად 89.1%-ით, ხოლო გადასახდელების – 86.4%-ით შესრულდა. ამასთანავე, ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი საბიუჯეტო სახსრები არასრულადაა გამოყენებული. აღნიშნული მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვასა და სხვადასხვა პროექტის დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს.

რეკომენდაცია №1

ქობულეთის მუნიციპალიტეტმა არსებული ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოს პროგრამების საბიუჯეტო პარამეტრების განსაზღვრა და მათი შესრულება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო რესურსის დროული და ეფექტიანი გამოყენება, რაც შესაძლებელს გახდის მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას.

2.2 სახელმწიფო შესყიდვები

აუდიტის პერიოდში გაფორმებულია 328 ხელშეკრულება, რომელთა საერთო ღირებულება 44,074,838 ლარს შეადგენს. გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად, შესამოწმებელ პერიოდში გახარჯულია 37,772,180 ლარი.

2.2.1 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარვეზები

კრიტერიუმი: შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.³ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ძირითადი მიზანია განისაზღვროს იმ ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საჭირო სამუშაოები, რომელთა წარმატებით განხორციელების შედეგად მოსახლეობას დროულად მიეწოდება ხარისხიანი მუნიციპალური სერვისები.⁴

ფაქტობრივი გარემოება: წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ 2017-2022 წლებში, ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის, შეისყიდა 66 დასახელების 1,031,196 ლარის ღირებულების საპროექტო-

³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება, „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 6¹, „ა“ ქვეპუნქტი.

⁴ „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. აღნიშნული პროექტებიდან 15 დასახელების – 233,479 ლარის ღირებულების პროექტების შესაბამისი შესყიდვები მერიას არ დაუგეგმავს, ხოლო 10 დასახელების – 93,845 ლარის ღირებულების პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები ნაწილობრივად შესრულებული.

სამშენებლო საქონლისა და სამუშაოების საბაზრო ღირებულებების ხშირი და მნიშვნელოვანი ცვლილებების გათვალისწინებით, საპროექტო დოკუმენტაციის გამოყენების მომენტისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს მათი კორექტირება, რაც საბიუჯეტო სახსრების დამატებით ხარჯვასთან იქნება დაკავშირებული. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პროექტების გამოყენებლობის ძირითადი მიზეზი არასაკმარისი ფინანსური რესურსია, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის ეტაპის ხარვეზებზე მიუთითებს, რადგან მუნიციპალიტეტს დაგეგმვის ეტაპზე სათანადოდ უნდა განესაზღვრა პროექტის განხორციელების საჭიროება და შესაძლებლობა. ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში გააჩნდა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი და შეეძლო რამდენიმე პროექტის განხორციელება.

ფაქტობრივი გარემოება: აუდიტის პერიოდში ხშირია მუნიციპალიტეტის მიერ ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების ცვლილებები. ცვლილებების უმეტესობა პროექტებში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად არის განხორციელებული, რაც ძირითადად პროექტანტი კომპანიების მიერ საპროექტო სამუშაოების არასათანადო შესრულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ მომსახურების მიღებისას საპროექტო დოკუმენტაციის არასათანადო შეფასების შედეგია. მაგალითად, ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარის საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის ტენდერში⁵ გამარჯვებულად შპს „ვი-აი-პი+“ დასახელდა, რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულების⁶ ღირებულება 2,869,929 ლარს შეადგენდა და ითვალისწინებდა კანალიზაციის მაგისტრალური ქსელის ავარიული ნაწილისა და გადამქაჩი რეზერვუარის მოწყობას. ხელშეკრულებაში განხორციელებული ოთხი ცვლილების შესაბამისად, ხელშეკრულების ღირებულება არ შეცვლილა, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული რიგი სამუშაოები ჩანაცვლდა ახალი სამუშაოებით, რომელთა უმრავლესობა ფარულია და მათი ღირებულება შემსრულებელი კომპანიის დაკვეთით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის⁷ შესაბამისად, 621,940 ლარით განისაზღვრა. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ არასათანადოდ იქნა შესწავლილი პროექტისათვის გამოყოფილი ტერიტორიის რელიეფი და არსებული გარემო ფაქტორები, ასევე პროექტით არ არის განსაზღვრული შესასყიდი დანადგარებისა და მოწყობილობების სპეციფიკაციები და ამ პირობებში, ყოველგვარი საექსპერტო დასკვნისა და გამოცდის გარეშე, მიღებულია

⁵ NAT 210014366.

⁶ N159. 07.09.2021.

⁷ „შპს „ჯეოექსპერტის“ 2022 წლის 11 ივლისის დასკვნა-„ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარის მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოზე, დამატებითი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირებასთან დაკავშირებით“.

20,000 ლარის ღირებულების ტუმბო,⁸ რომლის მახასიათებლების საპროექტო მოთხოვნებთან შესაბამისობა ვერ დგინდება.

ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, კომპანიამ ვერ შეძლო პროექტის სრულად შესრულება და 2023 წლის მარტში, ვალდებულებების შეუსრულებლობის მოტივით, ხელშეკრულება შეწყდა. წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად, სულ შესრულებულად ნაჩვენებია 2,654,455 ლარის სახელშეკრულებო ღირებულების სამუშაოები, თუმცა დათვალიერების მომენტისათვის,⁹ პროექტის ფარგლებში შექმნილი აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი დატბორილი იყო და შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება მათ შესრულებასთან დაკავშირებით.

დასკვნა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სათანადო დაგეგმვა-განხორციელებას, რაც შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გონივრულ ვადაში გამოყენებლობასა და მათში არსებულ ხარვეზებში გამოიხატება. შედეგად, ვერ მოხერხდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება და შესაბამისი სარგებლის მიღება. ამასთანავე, სამშენებლო საქონლისა და სამუშაოების საბაზრო ღირებულებების ცვლილებების გათვალისწინებით, საპროექტო დოკუმენტაციის გამოყენების მომენტისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს მათი კორექტირება, რაც საბიუჯეტო სახსრების დამატებით ხარჯვასთან იქნება დაკავშირებული.

2.2.2 საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: სატენდერო კომისია ყოველი კონკრეტული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი და შესყიდვის ობიექტი. პრეტენდენტთა მიმართ მოთხოვნები შესაძლებელია დადგინდეს მათი ცოდნის, გამოცდილების, სანდოობის, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შეფასების მიზნით.¹⁰

ფაქტობრივი გარემოება: აუდიტის პერიოდში ფიქსირდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შეწყვეტის რვა შემთხვევა.¹¹ მათგან ორ შემთხვევაში ხელშეკრულება მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე შეწყდა, ხოლო ექვს შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა კონტრაქტორი კომპანიების მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგია. შეწყვეტილი ინფრასტრუქტურული პროექტების ჯამური ღირებულება 3,116,131 ლარს შეადგენს, რომელთაგან შეწყვეტის მომენტისათვის შესრულებულად ნაჩვენებია 443,004 ლარის სახელშეკრულებო ღირებულების სამუშაო. მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების შესაბამისად, ხელშეკრულებების შეწყვეტა სახელმწიფო შესყიდვების არასათანადოდ დაგეგმვა-განხორციელების შედეგია. მაგალითად: ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის

⁸ პროექტით, ტუმბოს ღირებულება 4,289 ლარს შეადგენს.

⁹ 2023 წლის სექტემბერში აუდიტის ჯგუფმა შესაბამის პასუხიმგებელ პირებთან ერთად დაათვალიერა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები.

¹⁰ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები.

¹¹ NAT210000958; NAT210011846; NAT210015196; NAT210015198; NAT210017083; NAT 220002571; NAT220013135; NAT220017086.

ეტაპზე, პრეტენდენტთა კვალიფიკაციის დამადასტურებელმა მოთხოვნებმა ვერ უზრუნველყო სათანადო ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების მქონე მიმწოდებლების შერჩევა. მაგალითად, მუნიციპალიტეტის სოფლებში¹² საბავშვო ბაღების მშენებლობის შესყიდვის მიზნით, 2021 წლის 10 აგვისტოს გამოცხადებული ტენდერების¹³ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას არ იქნა გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტის ერთდროულად განხორციელების შესაძლებლობა.¹⁴ კერძოდ, საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას შემსყიდველმა არ გაითვალისწინა, რომ ერთდროულად ორი და მეტი პროექტის განხორციელებისას, მიმწოდებლის შესაძლებლობები კლებულობს და როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში მოითხოვება საწარმოს ბრუნვის შესახებ ინფორმაცია, სხვა მიმდინარე ვალდებულებების გათვალისწინებით.¹⁵ მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად, მოცემული ტენდერის მონაცემებისა და პრეტენდენტის სხვა მიმდინარე ხელშეკრულებების ფარგლებში დარჩენილი ანალოგიური ვალდებულებების¹⁶ გათვალისწინებით, შპს „ბილდ მენეჯმენტი“ ვერ დააკმაყოფილებდა სატენდერო მოთხოვნებს.¹⁷ გამარჯვებულად ორივე ტენდერში შპს „ბილდ მენეჯმენტი“ დასახელდა, რომელთანაც გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება 2,928,803 ლარს შეადგენდა. წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად, მიმწოდებელმა ორივე პროექტში ჯამურად შეძლო მხოლოდ 420,946 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება და ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, 2022 წლის დეკემბერში ორივე ხელშეკრულება შეწყდა. შესაბამისად, კომპანიამ ვერ უზრუნველყო სხვადასხვა დაკვეთის ერთდროული შესრულება, რაც კომპანიის არასაკმარის შესაძლებლობებზე მიუთითებს.¹⁸

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, 2022 წლის 10 იანვარს გამოცხადდა ტენდერი,¹⁹ რომელიც ითვალისწინებდა ჯამში 24,640 კვ.მ ბეტონის საფარით მოწყობას. ამ შემთხვევაშიც პრეტენდენტთა

¹² სოფელ კვირიკეს საბავშვო ბაღი - 1,519,821 ლარის სახელშეკრულებო ღირებულება და სოფელ გვარას საბავშვო ბაღი - 1,408,982 ლარის სახელშეკრულებო ღირებულება.

¹³ NAT210015196; NAT210015198.

¹⁴ შემსყიდველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ „პროექტის განხორციელების შესაძლებლობები კლებულობს, თუ ტენდერის ჩატარების დროისთვის შემცირებულია მიმწოდებლის თავისუფალი რესურსი, რაც ნიშნავს იმას, რომ ტენდერით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების პერიოდში, მიმწოდებელს სხვა ხელშეკრულებების ფარგლებში უკვე გააჩნია მიმდინარე ვალდებულები“ - ამონარიდი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციიდან კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

¹⁵ საწარმოს ბრუნვის შესახებ ინფორმაცია იძლევა საშუალებას, შეფასდეს მიმწოდებლის მიერ კონკრეტული მოცულობის პროექტების განხორციელების შესაძლებლობები, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

¹⁶ შპს „ბილდ მენეჯმენტს“ NAT 210003297 ტენდერის ფარგლებში, ტენდერის გამოცხადების თარიღისათვის ვალდებულებად ერიცხებოდა 166,927 ლარის სახელშეკრულებო ღირებულების სამუშაოების შესრულება, ხოლო NAT210015196-ის ფარგლებში - 1,521,240 ლარი.

¹⁷ შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში აქტირებული დოკუმენტების შესაბამისად, შპს „ბილდ მენეჯმენტს“ წარდგენილი აქვს 2,074,362 ლარის გამოცდილება, მაშინ როცა შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციით, მოცემული ტენდერის პარამეტრების გათვალისწინებით, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უკანასკნელი 3 სრული წლის განმავლობაში საჭიროა წელიწადში შესრულებული ჰქონდეს, საშუალოდ, 2,380,602 ((1,408,987+1,688,167)X12/12X0,75=2,322,865) ლარის ოდენობის ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები.

¹⁸ პროექტის განახლების მიზნით, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების დასაზუსტებლად საჭირო გახდა ექსპერტის დასკვნები, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით გაიხარჯა 12,212 ლარი.

¹⁹ NAT 220000289.

კვალიფიკაციის დამადასტურებელმა მოთხოვნებმა ვერ უზრუნველყო სათანადო კვალიფიკაციის მქონე მიმწოდებლის შერჩევა. კერძოდ, ტენდერით, რომლის სავარაუდო ღირებულება 647,000 ლარს შეადგენდა, მოთხოვნილია უჩვეულოდ დაბალი, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არანაკლებ 500,000 ლარის ღირებულების საგზაო ინფრასტრუქტურის ან/და გზის ბეტონირების სამუშაოების შესრულების გამოცდილება.²⁰

ტენდერში გამარჯვებულად დასახელდა შპს „რემონტი ჯ“, რომელთანაც 2022 წლის 18 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება 517,600 ლარის ღირებულებით. სამუშაოების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით, კომპანიას შესრულებული აქვს სულ 161,322 ლარის სამუშაოები, რაც ხელშეკრულების ღირებულების 32.2%-ს შეადგენს. კომპანიამ 2022 წლის 27 მაისს, საბანკო გარანტიის საფუძველზე, ავანსად მიიღო 220,000 ლარი,²¹ თუმცა მაინც ვერ შეძლო სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება. თანხის ავანსად მიღების შემდეგ, 2022 წლის 27 ივნისს წარადგინა მხოლოდ ერთი, 20,395 ლარის ღირებულების შუალედური ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ, საიდანაც გამოქვითა 10,198 ლარი და შესაბამისად, 209,802 ლარი დავალიანებად ირიცხებოდა. აღსანიშნავია, რომ მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობისა და საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის²² გასვლის პირობებში, ავანსად გაცემული თანხა კომპანიამ 2023 წლის 11 ოქტომბერს დააბრუნა.

დასკვნა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო სათანადო ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების მქონე მიმწოდებლების შერჩევა, რამაც მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერება განაპირობა. ამასთანავე, ვალდებულებების შეუსრულებლობისა და საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად, ავანსად გაცემული თანხის დასაბრუნებლად, მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

2.2.3 ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შემსყიდველმა შესყიდვის პროცესს ორგანიზება ისე უნდა გაუწიოს, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო ან/და დაბალი ხარისხით შესრულებული სამუშაოების შესყიდვა. ინფრასტრუქტურული სამუშაოების ეფექტიანად განხორციელების აუცილებელ პირობას ხელშეკრულების მოთხოვნების დაცვაზე, სათანადო კონტროლის მექანიზმების არსებობა წარმოადგენს.²³

ფაქტობრივი გარემოება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები²⁴ შესყიდვების ერთიან

²⁰ შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციით, მოცემული ტენდერის პარამეტრების გათვალისწინებით, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უკანასკნელი 3 სრული წლის განმავლობაში საჭიროა წელიწადში შესრულებული ჰქონდეს, საშუალოდ, 776,400 (647,000X12X0,5/5=776,400) ლარის ოდენობის ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები.

²¹ 2022 წლის 27 მაისი.

²² საბანკო გარანტია 2023 წლის 28 მარტამდე მოქმედებდა.

²³ „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

²⁴ არ არის ატვირთული სამშენებლო სამუშაოების ანგარიშები (ფორმა №2) და ექსპერტიზის დასკვნები.

ელექტრონულ სისტემაში, არასრული სახითაა ატვირთული.²⁵ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, რიგ შემთხვევებში²⁶ ვერ ხერხდება შესრულებული სამუშაოს/მომსახურების ხელშეკრულებების პირობებთან შესაბამისობის დადგენა, კერძოდ:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გზებზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, 2021-2022 წლებში გამოცხადებულია 15 ტენდერი, რომელთა შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება 5,717,463 ლარს შეადგენდა. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ სულ შესყიდულია 5,283,914 ლარის სახელშეკრულებო ღირებულების სამუშაოები, რომლებიც სატენდერო მოთხოვნის შესაბამისად მოიცავს როგორც ბეტონის, ასევე ქვიშა-ხრემის²⁷ მიწოდებასა და გზის მოწყობით სამუშაოებს.²⁸

ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დადგენის მიზნით, მიმწოდებელი კომპანიებისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ლოკაციებზე, მიწოდებული ქვიშა-ხრემისა და ბეტონის რაოდენობის შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციით (სასაქონლო ზედნადებები), შპს „ალიანს როუდის“ მიერ 11,767 ლარის ღირებულების 1,199 კუბ.მ და შპს „როუდ ტექნოლოჯის“ მიერ 20,815 ლარის ღირებულების 867 კუბ.მ ქვიშა-ხრემის (ბალასტის) მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მისამართებზე არ დასტურდება. ამასთანავე, 1,777,576 ლარის ჯამური ღირებულების 5 ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი;²⁹

- ქობულეთის მერიის მიერ გზების ორმული შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვასთან³⁰ დაკავშირებით, შესაბამის ხელშეკრულებებსა და მხარეებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის მითითებული შესასრულებელი სამუშაოს ზუსტი ადგილმდებარეობა. მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულია, თუმცა არ არის დაკონკრეტებული გზის რომელ მონაკვეთზე და რა მოცულობით განხორციელდა სარემონტო სამუშაოები;

- მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფის მომსახურების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად,³¹ გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების დაჭერა, ვეტერინარულ კლინიკამდე ავტომანქანით ტრანსპორტირება და მათზე სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების ჩატარება.

²⁵ შეუსრულებელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 37-ე და 38-ე მუხლების მოთხოვნები.

²⁶ ოთხ შემთხვევაში, ჯამური ღირებულებით - 2,009,117 ლარი.

²⁷ ქვიშა-ხრემი (ბალასტი) გათვალისწინებულია გზების მოსასწორებლად.

²⁸ გზის მოწყობითი სამუშაოები მოიცავს შრომით დანახარჯებს და მანქანა-მექანიზმების გამოყენების საფასურს.

²⁹ შპს „რემონი ჯ“-ის მიერ ინფორმაცია არ იქნა მიწოდებული, ხოლო შპს „გამა+“-მა, შპს „ალიანს როუდის“ და შპს „როუდ-ტექნოლოჯიმ“ წარმოადგინა მხოლოდ ქვიშა-ხრემის (ბალასტი) გადაზიდვის დოკუმენტაცია.

³⁰ NAT 220004350. მიმწოდებელი შპს „სამკუთხედი“, სახელშეკრულებო ღირებულება - 46,459 ლარი.

³¹ NAT210002646. მიმწოდებელი შპს CEBER, ღირებულება - 50, 000 ლარი და NAT220008115. მიმწოდებელი ი/მ ლერი ჩხარტიშვილი, ღირებულება - 60,000 ლარი.

ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებით, მხარეებს შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულია თავშესაფარში გადაყვანილი ცხოველების რაოდენობა, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია ცხოველების თავშესაფარში განთავსების პერიოდისა და მათ მიმართ ჩატარებული სამედიცინო მომსახურების შესახებ;

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში განთავსებული ვიდეოკამერების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების³² შესრულებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის მითითებული, რომელ ლოკაციაზე განთავსებულ კამერებს ჩაუტარდა შეკეთება. ამასთანავე, ხელშეკრულების შესაბამისად, აღნიშნული მომსახურება უნდა გავრცელებულიყო მხოლოდ იმ კამერებზე, რომელთა მიწოდება-დამონტაჟების ხელშეკრულებებში საგარანტიო პირობები არ იყო გათვალისწინებული. ამდენად, შეკეთებული კამერების დისლოკაციის მითითება ხელშეკრულების პირობების შესრულების აუცილებელი პირობაა.

დასკვნა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების სათანადო დადასტურებას, რის გამოც ოთხ შემთხვევაში ვერ მივიღეთ რწმუნება შესყიდული სამუშაოსა და მომსახურების სახელშეკრულებო პირობებთან შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე, არასრული სახით ხდება ხელშეკრულებების შესრულებასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვა, რაც ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს.

რეკომენდაცია №2

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც პრეტენდენტთა ფინანსური და ეკონომიკური შესაძლებლობების განსაზღვრითა და შესაძლო ხელშემშლელი ფაქტორების გათვალისწინებით შეიმუშავენ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ხოლო მის განხორციელებაზე სათანადო მონიტორინგის დაწესებით, უზრუნველყოფს პროექტების დადგენილ ვადაში ხარისხიან შესრულებას. ამასთანავე, ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგის გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანია, რომ შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია ელექტრონულ სისტემაში სრული სახით აიტვირთოს.

2.3 მუნიციპალური აქტივების მართვა

ქობულეთის მუნიციპალიტეტს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე ერიცხება 374,264,476 ლარის ღირებულების აქტივები. მათ შორის, 361,155,345 ლარის – ძირითადი აქტივი და 8,641,484 ლარის – სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივი.

2.3.1 აღურცხველი აქტივები

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დროს, რომელსაც თან ახლავს არსებული აქტივების დემონტაჟი, მოქმედი

³² NAT220009004. მიმწოდებელი შპს „დელტა კონსალტინგი“, ღირებულება - 42,500 ლარი.

რეგულაციით³³ ხდება ჩამოსაწერი ქონების ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასება, ვარგისი ქონების ღირებულების დადგენა და ბალანსში მარაგების სახით ასახვა. მარაგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებში ან მოხდეს მათი განკარგვა აუქციონის გზით.

ფაქტობრივი გარემოება: 10 ინფრასტრუქტურული პროექტის (იხ. დანართი №1) სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული იყო არსებული აქტივების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი სამშენებლო მასალისა და სხვა დაუზიანებელი აქტივის დასაწყობება. შესაბამისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციით, ქონება დასაწყობებულია, თუმცა მათი ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა და არც მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ ასახულა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია ვარგისი ქონების განთავსების ლოკაციების თაობაზე.

2.3.2 ჩაუტარებული ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია განსაზღვრული პერიოდულობით ჩაატაროს აქტივების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია და აღნიშნულის განსახორციელებლად, ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნას საინვენტარიზაციო კომისია.³⁴

ფაქტობრივი გარემოება: მოპოვებული ინფორმაციით, 2022 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას და მუნიციპალურ ორგანიზაციებს, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, არ ჩაუტარებიათ ბალანსზე რიცხული 192,203,655 ლარის აქტივების, მოთხოვნების და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, რის გამოც არ მომხდარა აქტივების და ვალდებულებების შემოწმება და მათი აღრიცხვის სისწორის დადგენა.

2021 წელს ჩატარებული ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა 14 დასახელების – 12,143 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალებების დანაკლისი, თუმცა წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ინვენტარიზაციის შედეგებზე რეაგირება არ მომხდარა.³⁵

2.3.3 ქონების იჯარით გაცემასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: ქონების იჯარით გაცემის შემთხვევაში, საიჯარო ქირა და მისი გადახდის პირობები განისაზღვრება შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებებით. ამასთანავე, საიჯარო გადასახადის გადახდის ვალდებულება ბუღალტრულად აისახება მოთხოვნებში. მოიჯარის მიერ, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, იჯარით აღებული ქონების დაუბრუნებლობის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია მოითხოვოს

³³ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82 დადგენილება „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე.

³⁴ შესაბამის პერიოდში მოქმედი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

³⁵ ინვენტარიზაციის მასალები 2023 წლის 30 ნოემბერს, პირველადი ანგარიშის განხილვისას გადაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქობულეთის რაიონულ სამმართველოს.

საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაყოვნებისათვის და სხვა სახის ზიანის ანაზღაურება.³⁶

ფაქტობრივი გარემოება: მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აუდიტის პერიოდში მოქმედებდა ქონების იჯარით გაცემის შესახებ 2015-2022 წლებში გაფორმებული 249 ხელშეკრულება, რომელთა შესაბამისად იჯარის ფორმით გაცემულია 27 საკადასტრო ერთეული – 44,847 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 3 საკადასტრო ერთეული – 73,43 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. საიჯარო ხელშეკრულებების შესაბამისად წლიური საიჯარო გადასახადის თანხა 350,656 ლარს შეადგენს. ხაზინიდან მიღებული ინფორმაციით, აუდიტის პერიოდში საიჯარო გადასახადის სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 574,580 ლარი. მუნიციპალიტეტში არ არის შესრულებული მოთხოვნები იჯარით გაცემული ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებით. კერძოდ, იჯარით გაცემული ქონება ბუღალტრულად არ არის აღრიცხული და შესაბამისად, ის არც ფინანსურ ანგარიშგებაში ფიგურირებს. ამასთანავე, საიჯარო ხელშეკრულებების პირობების შესრულების ანალიზით დადგენილია, რომ არასრულადაა გამოყენებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლებამოსილება საიჯარო ქირის დაგვიანებით გადახდისათვის, საჯარიმო სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებით.³⁷

დასკვნა

2022 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას და მუნიციპალურ ორგანიზაციებს, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად არ ჩაუტარებიათ ბალანსზე რიცხული 192,203,655 ლარის აქტივების, მოთხოვნების და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, არ არის შესრულებული მოთხოვნები იჯარით გაცემული ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებით და ასევე არ არის აღრიცხული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების დროს ქონების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური აქტივები. ზემოაღნიშნული საჯარო აქტივების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

რეკომენდაცია №3

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ საჯარო ქონების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად ჩაატაროს აქტივებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია და მუნიციპალური ქონების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური აქტივების შეფასება და ბალანსზე ასახვა. ამასთანავე, შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს იჯარით გაცემული ქონების სრულად აღრიცხვას და საიჯარო ხელშეკრულებების პირობების შესრულების სათანადო მონიტორინგს.

2.4 მშენებლობების სახელმწიფო ზედამხედველობა

კრიტერიუმი: მშენებლობა, რომელიც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე და ეხება: ახალ მშენებლობას (მათ შორის, მონტაჟი), რეკონსტრუქციას, შეკეთებას (რემონტი, მოპირკეთება/აღჭურვა), დემონტაჟს (არსებული შენობა-ნაგებობის დაშლა/დანგრევა) და რომლის დროსაც შენობა-

³⁶ აუდიტის პერიოდში ქონების სარგებლობასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებები.

³⁷ კერძოდ, შერჩევითი წესით შესწავლილი ხელშეკრულებიდან, საიჯარო ქირის გადახდის ვადა დარღვეულია 14 შემთხვევაში, რისთვისაც ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, საურავის სახით დარიცხვას ექვემდებარება 2,859 ლარი.

ნაგებობის ფუნქცია იცვლება ან/და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი გადამეტებულია, უნებართვო მშენებლობაა. სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დაცვაზე ზედამხედველობას, მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ახორციელებს მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური. იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ დგინდება, უნებართვო მშენებლობის მწარმოებელი პირი და მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ან/და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაა თუ არა, უფლებამოსილი ორგანო მითითების გაცემის გარეშე იღებს დადგენილებას უნებართვო მშენებლობის დემონტაჟის შესახებ, ხოლო თუ უნებართვო მშენებლობის მწარმოებელი პირი დადგენილია და მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ან/და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაა, უფლებამოსილი ორგანო მითითების გაცემისა და შემოწმების აქტის შედგენის საფუძველზე იღებს დადგენილებას უნებართვო მშენებლობის დემონტაჟისა და დამრღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.³⁸

2.4.1 მშენებლობების სახელმწიფო ზედამხედველობასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

ფაქტობრივი გარემოება: აუდიტის პერიოდში ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემულია 242 სამშენებლო ნებართვა, მათ შორის, 214 შემთხვევაში ნებართვა გაცემულია ახალ მშენებლობაზე, 11 შემთხვევაში – მშენებლობის ცვლილებაზე და 17 შემთხვევაში – შენობის დემონტაჟზე. მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2021-2023 წლებში ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლენილია უნებართვო მშენებლობის 30 შემთხვევა, რის გამოც მშენებლობის მწარმოებელი ფიზიკური თუ იურიდიული პირები დაჯარიმდნენ 93,000 ლარით, საიდანაც 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით გადახდილია 53,590 ლარი, ანუ ჯარიმის 57,6%.

აუდიტის ჯგუფმა შერჩევითი წესით³⁹ შეისწავლა ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების კანონიერება. შესწავლის შედეგად გამოვლინდა 4 უნებართვო მშენებლობა, რომელთან დაკავშირებით ქობულეთის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიღებულია დადგენილებები, მშენებელი პირების მიმართ საჯარიმო სანქციების დაკისრებისა და უკანონოდ აშენებული შენობების დემონტაჟის შესახებ, თუმცა აღნიშნული ღონისძიებები პრაქტიკულად არ განხორციელებულა, მაგალითად:

- ქალაქ ქობულეთში, თამარ მეფის სანაპირო №52-ისა და №54-ის და დავით აღმაშენებლის გამზირის №279-ის მიმდებარედ, დაფიქსირდა კაფე-ბარების უნებართვო⁴⁰ მშენებლობები. სამივე შემთხვევაში მშენებლობა განხორციელებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლითაც აღნიშნული პირები სარგებლობდნენ მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულთან დაკავშირებით 2023 წლის ივლისში მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიღებულია

³⁸ საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, მუხლი 127; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“, მუხლი 4.

³⁹ შეირჩა ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის, დავით აღმაშენებლისა და რუსთაველის გამზირები.

⁴⁰ მშენებლობა განხორციელებულია ალბერტ ხინიკაძის, ილია მეგრელიძის და შპს HAVANA-ს მიერ.

დადგენილებები,⁴¹ მშენებელი პირების დაჯარიმებისა და უკანონოდ აშენებული შენობების დემონტაჟის შესახებ, თუმცა დათვალთქმების თარიღისათვის⁴² შენობების დემონტაჟი არ იყო განხორციელებული.

დასკვნა

მერიის მიერ უკანონო მშენებლობების აღკვეთის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყო უნებართვო მშენებლობების შეჩერება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონო გამოყენება, რაც ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე მშენებლობების ზედამხედველობასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

რეკომენდაცია №4

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უნებართვო მშენებლობის პრევენციას, ასევე მიმდინარე უნებართვო მშენებლობების დროულად გამოვლენას და სათანადო რეაგირებას. ამასთანავე, შეისწავლოს ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარე უნებართვო მშენებლობების ფაქტები, განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

2.5 იურიდიული პირების მართვა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ, თავიანთი საქმიანობის კოორდინაციის და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომლებიც ორგანიზებას გაუწევენ მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებებს.⁴³ ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ.⁴⁴ დირექტორის თანამდებობაზე დანიშნვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მასთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება, სადაც უნდა მიეთითოს ხელმძღვანელი პირის საქმიანობის ანაზღაურების ოდენობა, ფორმა და პერიოდულობა. თუ სასამსახურო ხელშეკრულება არ შეიცავს ინფორმაციას ხელმძღვანელი პირის საქმიანობის ანაზღაურების შესახებ, ივარაუდება, რომ იგი თავის საქმიანობას უსასყიდლოდ ახორციელებს.⁴⁵ მუნიციპალიტეტის, როგორც საწარმოს პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ვალდებულია ყოველწლიურად განიხილოს და დაამტკიცოს საწარმოთა ფინანსური ანგარიშები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.⁴⁶

⁴¹ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის 2023 წლის 3 ივლისის №03-02/36, 2023 წლის 13 ივლისის №03-02/38, 2023 წლის 17 ივლისის №03-02/39 დადგენილებები.

⁴² 2023 წლის 18 ოქტომბერი.

⁴³ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 20, პირველი და მე-2 პუნქტები; მუხლი 106¹, პუნქტი 1.

⁴⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი; მუხლი 6, პუნქტი 2; მუხლი 8, პუნქტი 1, „ვ“ ქვეპუნქტი.

⁴⁵ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 45.

⁴⁶ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 127, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ების წესდებები.

2.5.1 იურიდიული პირების მართვის ხარვეზები

ფაქტობრივი გარემოება: 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული აქვს 4 ერთეული კომერციული იურიდიული პირი (შპს), რომელთა საქმიანობის ზედამხედველობის მიზნით დანერგილმა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველყო მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს-ებში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სწორად წარმართვა, კერძოდ:

- შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოებებში, მუნიციპალიტეტის მერის მიერ დანიშნულ ხელმძღვანელ პირებთან არ არის გაფორმებული სასამსახურო ხელშეკრულებები და შესაბამისად, დამფუძნებელი პარტნიორის მიერ არ არის განსაზღვრული მათი საქმიანობის ანაზღაურების ოდენობა. ხელმძღვანელი პირები მუნიციპალიტეტთან შეუთანხმებლად ადგენდნენ მათ ხელფასებს. აუდიტის პერიოდში გამოვლინდა ხელფასების შეუთანხმებლად ზრდის ფაქტები, რის გამოც იურიდიული პირების ხელმძღვანელებზე ხელფასის სახით დამატებით გაცემულია 5,865 ლარი;⁴⁷

- წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, შპს „ქობულეთის წყლის“ მიერ, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასმელი წყლის მომხმარებლად რეგისტრირებულია სულ 7,898 აბონენტი. წყალმომარაგება-წყალსარინების მომსახურების ღირებულების დარიცხვისა და გადახდის მდგომარეობის ანალიზით დადგენილია, რომ 153 შემთხვევაში კომერციული სტრუქტურების მიერ გადასახდელი თანხის გაანგარიშების მიზნით გამოყენებულია ტარიფი 1კუბ.მ-ზე – 1,7 ლარი, მაშინ როცა „ქალაქ ქობულეთში წყალმომარაგება-წყალსარინების მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2007 წლის 19 მარტის №38 დადგენილების შესაბამისად, კომერციული ობიექტებისათვის წყალმომარაგება-წყალსარინების მომსახურების ტარიფი 1 კუბ.მ-ზე 4 ლარით განისაზღვრება. მოხმარებული წყლის რაოდენობის გათვალისწინებით, აღნიშნულ აბონენტებს გადასახდელად 92,616 ლარით ნაკლები თანხის გადახდა დაეკისრათ. პასუხიმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ შესაბამისი აბონენტები კანალიზაციის სისტემას (წყალსარინებს) არ იყენებენ, თუმცა ამის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი;

- შპს „ქობულეთის წყალში“ აუდიტის პერიოდში სათანადოდ არ წარმოებდა ბუღალტრული აღრიცხვა, არ ხდებოდა პირველადი აღრიცხვისა და მაგროვებელი დოკუმენტების შედგენა, ეკონომიკური მოვლენები არ აღირიცხებოდა ორმაგი ჩაწერის პრინციპით და შესაბამისად, არ არის შედგენილი ფინანსური ანგარიშგებები, არ ხდებოდა საპენსიო ფონდის ანარიცხების დარიცხვა, შეძენილი მატერიალური აქტივები არ ფიქსირდებოდა შემოსავალში და შესაბამისად, მათ ხარჯვასთან დაკავშირებით რაიმე სახის დოკუმენტი არ არის შედგენილი.

⁴⁷ შპს „ქობულეთის წყალი“ - 1,625 ლარი, შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“ - 1000 ლარი, შპს „სარაგბო კლუბი „პონტო“ - 840 ლარი, შპს „ქობულეთის პროფილაქტიკური დეზინფექციის სადგური“ - 2,400 ლარი.

შპს „ქობულეთის წყლის“ დირექტორის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგების შესაბამისად, გაანგარიშებულ იქნა დაწესებულების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების დარიცხვისა და გაცემის მდგომარეობა, რის შედეგად დადგინდა, რომ 2017-2022 წლებში 68 თანამშრომელზე ხელფასის სახით გაცემულია 260,139 ლარით მეტი, ხოლო 92 თანამშრომელზე – 129,505 ლარით ნაკლები. ამასთანავე, აღნიშნული თანხები დავალიანების სახით არ არის აღრიცხული. საბანკო ანგარიშებზე განხორციელებული საბანკო ტრანზაქციების შესაბამისად, 2017-2022 წლებში პრემიის სახით გაცემულია 96,688 ლარი. პრემიის გაცემასთან დაკავშირებით გამოცემულია დირექტორის შესაბამისი ბრძანებები, თუმცა მათი არგუმენტების დოკუმენტური დადასტურება ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთანავე, არ წარმოებდა სამუშაო დროის აღრიცხვა, რის გამოც აუდიტის ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოთქვას მოსაზრება ხელფასის ხარჯისა და ფაქტობრივად ნამუშევარი დროის შესადარისობის შესახებ. აუდიტის მასალები, აუდიტის მიმდინარეობის დროს, შემდგომი რეაგირების მიზნით გადაიგზავნა პროკურატურაში.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს-ებში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის არასწორად წარმართვის შედეგად, საერთო ჯამში, ხელფასის სახით ზედმეტად გაცემულია 266,004 ლარი და გამოვლინდა წყალმომარაგება-წყალინარების მომსახურების ტარიფების დაუსაბუთებლად განსაზღვრის ფაქტები. აღნიშნული, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კომერციული იურიდიული სტრუქტურების საქმიანობის ზედამხედველობასთან დაკავშირებით, კონტროლის მექანიზმის სისუსტეზე მიუთითებს და არამართლზომიერი ქმედებების რისკებს შეიცავს.

რეკომენდაცია №5

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კომერციული იურიდიული სტრუქტურების საქმიანობის სათანადო ზედამხედველობით მათი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვას. ამასთანავე, შეისწავლოს შრომის ანაზღაურების თვითნებურად გაზრდის ფაქტები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

2.6 შრომის ანაზღაურება

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხელფასის დარიცხვის საფუძველი უნდა იყოს ორგანიზაციის ბრძანებები მომუშავეთა მიღების, გათავისუფლებისა და გადაადგილების შესახებ, დამტკიცებული შტატებისა და სარგოების შესაბამისად, სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა ორგანიზაციის მიერ დადგენილი ფორმით (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება) და შრომითი ხელშეკრულებით ან შრომის შინაგანაწესით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

2.6.1 შრომის ანაზღაურებასთან

ფაქტობრივი გარემოება: ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების ადგილობრივი ბიუჯეტების შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ფონდი ჯამში – 5,090,543 ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდში შრომის

დაკავშირებული ნაკლოვანებები

ანაზღაურების სახით გახარჯულია 5,041,755 ლარი, რაც საბიუჯეტო გეგმის 99%-ია. მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა მიერ მიღებული თანამდებობრივი სარგოს და ფაქტობრივად ნამუშევარი დროის შესაბამისობის დადგენის მიზნით დანერგილი კონტროლის მექანიზმები არ ფუნქციონირებს. კერძოდ, არ წარმოებს თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვა. ამასთანავე, აუდიტის პერიოდში მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებში არ მიმდინარეობს სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელის წარმოება. ხელფასების დარიცხვა ხდება მხოლოდ სამტატო განრიგის საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სრული განაკვეთით დასაქმების პირობებში 26 თანამშრომელი, რომელთა ანაზღაურებამ 2021-2022 წლებში 148,195 ლარი შეადგინა, პარალელურად ირიცხებოდნენ ასევე მუნიციპალიტეტის სხვა დაწესებულებების მუშაკებად, სადაც შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვთ 137,202 ლარი.⁴⁸ შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება მათ მიერ სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებით.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ რიგი თანამშრომლების ხელფასები, სულ 2,249 ლარი,⁴⁹ არასწორად გადაერიცხათ სხვა თანამშრომლებს. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, არასწორად გადარიცხული ხელფასები თანამშრომლებს შორის პირადი ანგარიშსწორებით დარეგულირდა⁵⁰ და მათი სათანადო აღრიცხვა არ განხორციელებულა.

ფაქტობრივი გარემოება: ა(ა)იპ – ქობულეთის სანდასუფთავება ფინანსდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან „სუბსიდიის“ მუხლით, რომლის 2021 წლის საკასო ხარჯი – 2,630,279 ლარს, ხოლო 2022 წლის საკასო ხარჯი – 3,451,523 ლარს შეადგენს.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში, საბიუჯეტო სახსრების გადარიცხვისთვის საჭირო მონაცემების არასწორად მითითების შედეგად, უკანონოდ გაიხარჯა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილი 24,112 ლარი. კერძოდ: წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ა(ა)იპ – ქობულეთის სანდასუფთავების ბუღალტერი საბიუჯეტო თანხების გადარიცხვისას, თანამშრომლების ხელფასებისა და მომსახურე ფიზიკური თუ იურიდიული პირების საბანკო ანგარიშების ნაცვლად, მიუთითებდა საკუთარ საბანკო ანგარიშს, რის შედეგად 28 შემთხვევაში მის ანგარიშზე უკანონოდ ჩაირიცხა ბიუჯეტის კუთვნილი 24,112 ლარი.

აუდიტის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით აუდიტის მიმდინარეობისას გადაიგზავნა პროკურატურაში.

⁴⁸ შორენა მნელაძე 2021 წელს მუშაობდა ა(ა)იპ – საბავშვო ბაღების გაერთიანებაში მზარეულად და ამავე დროს ა(ა)იპ – ქობულეთის გამწვანებაში დამლაგებლად; მაია გოგიტიძე 2022 წელს იურისტის თანამდებობაზე მუშაობდა როგორც ა(ა)იპ – სოფლის წყალში, ისე ა(ა)იპ – ქობულეთის კულტურის ცენტრში.

⁴⁹ ა(ა)იპ – ქობულეთის გამწვანება – 737 ლარი, ა(ა)იპ – ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანება – 1,512 ლარი.

⁵⁰ წარმოდგენილია თანამშრომლებს შორის გაფორმებული აქტები შეცდომით ჩარიცხული თანხების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა. გამოვლინდა შრომის ანაზღაურების არასწორად გაცემისა და 24,122 ლარის მითვისების ფაქტები. აღნიშნული გარემოებები, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან მიმართებით, არსებული კონტროლის მექანიზმების არსებით სისუსტეზე მიუთითებს და არამართლზომიერი ქმედებების რისკებს შეიცავს.

რეკომენდაცია №6

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც საბიუჯეტო რესურსის რაციონალურად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, სათანადოდ აღრიცხავს დასაქმებულთა ნამუშევარ საათებს და აღრიცხვის სისტემის მონაცემების გათვალისწინებით განახორციელებს შრომის ანაზღაურების დარიცხვას. ამასთანავე, განიხილოს შრომის ანაზღაურების თანხების მითვისებისა და არასწორად გაცემის ფაქტები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

2.7 ტრანსპორტის ხარჯები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით,⁵¹ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში. თანამშრომელთა მფლობელობაში არსებულ ავტომანქანებზე გაცემული საწვავის ჩამოწერა უნდა განხორციელდეს სათანადო პირველადი დოკუმენტების საფუძველზე, რომლებითაც უნდა დასტურდებოდეს საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენება.⁵²

2.7.1 ტრანსპორტის ხარჯების ნაკლოვანებები

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკასო ხარჯებმა შეადგინა 2,685,338 ლარი. მუნიციპალიტეტის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე 2021-2022 წლებში საწვავის ხარჯვა ხორციელდებოდა აგაი სისტემის (ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა) გამოყენებით და ჯამში გახარჯულია 469,962 ლარის საწვავი, მათ შორის, ბალანსზე რიცხულ 18 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაიხარჯა 307,788 ლარის საწვავი, ხოლო საჯარო მოხელეების პირად საკუთრებაში არსებულ 21 ერთეულ ავტოსატრანსპორტზე – 162,174 ლარის საწვავი. ტრანსპორტთან დაკავშირებული დანახარჯების ანალიზი ცხადყოფს, რომ არასათანადო კონტროლია დაწესებული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გამოყოფილი საწვავის ხარჯვის საკითხზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი გაცემული საწვავის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის ხარჯვის დოკუმენტური დადასტურება. ჩატარებული აუდიტით გამოვლინდა რიგი შემთხვევები, როდესაც უფლებამოსილი პირები არ

⁵¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“.

⁵² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 4.

იმყოფებოდნენ მივლინებაში, თუმცა ავტომანქანა დაფიქსირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულ შემთხვევებზე ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი ავტომობილის ყოფნის აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულება.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დოკუმენტურ დადასტურებას, რის გამოც ვერ მივიღეთ რწმუნება აუდიტის პერიოდში 52,070 ლიტრი საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია №7

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯების ეფექტიანად ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, განსაზღვრავს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოპტიმალურ რაოდენობას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ და რაციონალურ ხარჯვას.

2.8 დასუფთავების მოსაკრებელი

კრიტერიუმი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით⁵³ განსაზღვრულია დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების პირობები და ოდენობა. დადგენილების შესაბამისად მოსაკრებლის გადამხდელად ითვლებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობის ობიექტი და საცხოვრებელი ფართი განთავსებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2.8.1 მოსაკრებლების ადმინისტრირების ხარვეზები

ფაქტობრივი გარემოება: წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2021 წელს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად რეგისტრირებულია – 1107, ხოლო 2022 წელს – 1298 მეწარმე სუბიექტი, რომელთა მიერ აუდიტის პერიოდში, საერთო ჯამში გადახდილია 532,853 ლარი და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელად ირიცხება 80,580 ლარი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2021-2022 წლებში მოსახლეობიდან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება არ ხორციელდებოდა. აღნიშნულ საკითხზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულია რეკომენდაცია, თუმცა მდგომარეობა არ შეცვლილა.

დასკვნა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ სრულად არ არის აღრიცხული დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა რაოდენობა. შედეგად, სრულად არ ხორციელდება გადასახადის ადმინისტრირება.

რეკომენდაცია №8

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სრული ბაზის შექმნას, გადამხდელთა მონაცემების გათვალისწინებით განსაზღვრავს გადასახდელ თანხებს და განახორციელებს სათანადო მონიტორინგს მათი გადახდის უზრუნველსაყოფად.

⁵³ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 იანვრის №1 დადგენილება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“.

2.9 შიდა კონტროლის სისტემა

კრიტერიუმი: შიდა კონტროლის სისტემა არის დაწესებულების მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, აგრეთვე შიდა აუდიტის ფუნქციას, რომელიც ყალიბდება, რათა დაეხმაროს დაწესებულებას, მიაღწიოს თავის მიზნებს და კანონიერად, გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართოს თავისი საქმიანობა, და რომლის ჩამოყალიბებისათვის პასუხისმგებელი არიან დაწესებულების ხელმძღვანელები. დასახული ამოცანების მისაღწევად შიდა აუდიტის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

2.9.1 შიდა კონტროლის ნაკლოვანებები

ფაქტობრივი გარემოება: ჩატარებული აუდიტით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობაში გამოვლინდა შიდა კონტროლის ნაკლოვანებები, რამაც ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან, აქტივების მართვასთან, შრომის ანაზღაურებასთან, ტრანსპორტის ხარჯებთან, ასევე დასუფთავების მოსაკრებელთან და ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა-შესრულებასთან დაკავშირებით ზემოთ მოყვანილი ხარვეზები განაპირობა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა, 2021-2022 წლებში დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, ჩატარა 9 აუდიტი, მათ შორის, 7 აუდიტი ჩატარდა მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებში, ხოლო 2 აუდიტი – მუნიციპალიტეტის ერთეულებში. ჩატარებული აუდიტები მიზნად ისახავდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხარჯვის შესახებ აუდიტორული დასკვნის შედგენას, რეკომენდაციების შემუშავებას და აუდიტის ანგარიშის გაცემას.

სამსახურის მიერ ვერ გამოვლინდა კონტროლის მექანიზმების ის სისუსტეები და ხარვეზები, რომლებიც დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგად. შიდა აუდიტის მიერ შედგენილ აუდიტორულ დასკვნებში ასახული მიგნებების შესაბამისად გაცემულია რეკომენდაციები, რომლებიც რიგ შემთხვევებში ზოგადი ხასიათისაა; ამასთანავე, არ ხდება რეკომენდაციების შესრულებაზე სათანადო რეაგირება და არ ტარდება მონიტორინგი, რაც მუნიციპალიტეტისათვის რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემები სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის და ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობას.

რეკომენდაცია №9


ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას, ანალიზსა და შეფასებას. ამასთანავე, შიდა აუდიტის სამსახურმა აუდიტის თემების შერჩევის დროს ყურადღება გაამახვილოს მაღალი რისკის შემცველი საკითხების შესწავლაზე, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემასა და მათი შესრულების ეფექტიან მონიტორინგზე.

აუდიტორები**ხელმოწერა**

გოჩა შარაბიძე
მთავარი აუდიტორი

ზვიად ვარშალომიძე
უფროსი აუდიტორი

ნინო ჩაგანავა
აუდიტორი


3. დანართი

დანართი. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების დროს აქტივების დემონტაჟის შესახებ

№	პროექტის დასახელება	ხელშეკრ. ნომერი და თარიღი	შესრულებული სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1.	ქალაქ ქობულეთში, სპორტსკოლასთან არსებული ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები	№36 16.02.2021	არსებული მავთულბადიანი პანელებისა და ბოძების დემონტაჟი.	კვ.მ	386
2.	ქალაქ ქობულეთში, ვერულიძის ქუჩის მოპირდაპირედ სკვერის მოწყობის სამუშაოები	№39 17.02.2021	არსებული დეკორატიული ფილების დემონტაჟი, დასაწყობებით.	კვ.მ	55,00
3.	ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის №215-ში სკვერის მოწყობის სამუშაოები	№107 02.08.2021	არსებული ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟი და დასაწყობება.	ტ	0,2
4.	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს ცენტრის და სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები	№128 09.08.2021	არსებული ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟი და დასაწყობება.	ტ	0,8
5.	ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე (№162) და კომახიდის ქუჩაზე (№15 და №17) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს/სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები	№135 19.08.2021	არსებული ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟი და დასაწყობება.	ტ	0,8
6.	ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (140ბ, 140ჰ, 140ფ) ეზოს/სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები	№153 27.08.2021	არსებული ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟი და დასაწყობება.	ტ	0,8
7.	ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის №158, №160 და კომახიდის ქუჩის №13ა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს/სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები	№51 21.03.2022	არსებული ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟი და დასაწყობება.	ტ	0,8
8.	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოები	№88 02.06.2022	მერიის ადმინისტრაციული შენობის სახურავის არსებული თუნუქის ფურცლების დემონტაჟი.	კვ.მ	1530
9.	ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა №156, კომახიდის ქ. №13 და რუსთაველის №105-ის ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები	№145 05.12.2022	არსებული ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟი და დასაწყობება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე.	ტ	0,8
10.	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოში საბავშვო ბაღის მოწყობის სამუშაოები	№160 13.11.2020	თუნუქის ფურცლების დემონტაჟი	კვ.მ	780

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE